დასკვნა

ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზირზე. №74-ში მდებარე 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

2013 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

მოქ. იონა ქობულიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე №74-ში მდებარე 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, შუა მზიდ კედელში, პირველის სართულის დონეზე არსებული კარის ღიობის გაფართოების შესაძლებლობის დასადგენად შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

შესწავლილი შენობა აგებულია XX-საუკუნის 70-იან წლებში. შენობა 8-სართულიანია, შერეული კონსტრუქციული გადაწყვეტით, მზიდი აგური კედლებითა და მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ელემენტების ჩანართვებით. სართულშუა გადახურვები შესრულებულია რკინაბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით. საძირკველი სავარაუდოდ ლენტური ტიპისაა.



შენობას გააჩნია სარდაფი. შენობის პირველი სართულის სივრცე გამოყენებულია კომერციული დანიშნულებისათვის. მოქალაქე იონა

ქობულიას თავის საკუთრებაში არსებული სათავსოს მზიდ კედელში დაგეგმილი აქვს კარის ღიობი (იხ. ფოტო) გააფართოვოს.



შენობის ვიზუალური შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ მის ხილულ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე რაიმე სახის მნიშვნელოვანი დაზიანებები არ შეინიშნება. შენობას კარგად აქვს გადატანილი როგორც 2002 წლის 25 აპრილის საკმაოდ ძლიერი, ასევე 2009 წლის ოქტომბრის მიწისძვრების ზემოქმედების შედეგები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტს შესაძლებლად მიაჩნია, რომ მითითებული კარის ღიობი გაფართოვდეს, რომელიც მოჩარჩოვდება ლითონის ელემენტებით საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის საფუძველზე.

შ.პ.ს. "ედრი+"-ის დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე